პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 12 ნოემბერი, 1948 წ. № 224 (8268). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბრძანება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი საქართველოს სს რესპუბლიკის მიერ უფრაქნის დამზადების ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბების შესახებ (1-ლი გვერდი).

შრომის ნაყოფიერების გადიდება ახალ წარმატებათა საფუძველია—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კოოპერაცია—„პრავდის“ 11/XI მოწინავე (მე-2 გვერდი).

მ. ნარსია — კიდევ უფრო გავაჯანსაღოთ კოოპერაციული აპარატი (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).

შ. ნუცუბიძე—საბჭოთა მიუცემთ მეტ თამბაქოს (მე-3 გვერდი).

საბჭოთა დელეგაციის მორალური გამარჯვება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის პრესის გამოსვლა მოსკოვის საბჭოს 1948 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება გვგმის გადამეტებით 45 ათასი ცენტნერი ყურძნის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ. 1948 წლის 5 ნოემბრისათვის სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 72.580 ცენტნერი ყურძენი. სულ წელს დამზადებულია 99.500 ცენტნერით მეტი ყურძენი, ვიდრე 1947 წელს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ალავიძე
საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის მინისტრი ვ. ბაძიაშვილი

შრომის ნაყოფიერების გაღიდება ახალ წარმატებათა საფუძველია

საბჭოთა ხალხმა ზეიმით იდღესასწაულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავი. ამ ისტორიულ თარიღს ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო მრავალი წარმატებით შეხვდა. ეს გამარჯვებანი შეიკვეთა თავის მოხსენებაში ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წლის 6 ნოემბერს. უმაგალითო მასშტაბით წარმოებს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენა და მასში განვითარება. მიმდინარე წლის ცხრა თვეში სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციამ 27 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის შესაბამისი პერიოდის პროდუქციას. წელს გამოშვებული პროდუქცია 17 პროცენტით სჭარბობს ომამდელი 1940 წლის ციფრს. უდიდესია ჩვენი ქვეყნის წარმატებანი სოფლის მეურნეობის, საბჭოთა ვაჭრობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დარგში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ ოქტომბრის 31-ე წლისთავს ბევრი წესანაწილავი წარმატებით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. მრავალმა ათეულმა საწარმომ გადაჭრა ორი თვით ადრე შეასრულა ახალი სტალინური ხუთწლეული შესაბამი გადაწყვეტი წლის საწარმოო გეგმა, დღითი დღე უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, მრავალება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც მილიონობით მანეთი ზეგეგმით დაგროვებას აძლევენ სახელმწიფოს.

ასევე დიდია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევები. წელს მნიშვნელოვნად გადიდდა ნათესი ფართობი, უკეთ განხორციელდა აგროტექნისამეობანი, გადაშენდა შესრულდა პურის დამზადების გეგმა. დიდი წარმატებაა მოპოვებული ჩაის, თამბაქოს, ბაჭიის ჭარხლის, ციტრუსების, მოსავლიანობის გადიდების დარგში.

მაგრამ როგორც ლენინი და სტალინი გვასწავლიან, ჩვენ არასოდეს არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ხათავდეთ ჩავუდგეთ მასების მზარდ შრომის აღმავლობას, განვამტკიცოთ და ვამრავალთ მოპოვებული წარმატებანი, თვითეული საწარმო ჩავაყენოთ მოწინავეთა რიგებში.

საწარმოო გეგმის გადამდე შესრულების ერთ-ერთი მძლავრი პირობაა შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდება, საფუძვლიანი ათვისება იმ უახლესი ტექნიკისა, რომლითაც ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები აღჭურვილია, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ახალი ტექნიკის ათვისებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა მაღალკვალიფიციურ კადრებს.

ჩვენ მრავალ გვყავს ტექნიკას საფუძვლიანად დაუფლებული მუშათა კადრები, წარმოების ნოვატორები — სტახანოველები, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ, თვითეული დაზგა დანადგარისადან იღებენ იმის მაჭარმოებს, რის მოცემაც მათ შეუძლიათ. მაგრამ ჩვენი მრეწველობა დღითი დღე ფართოვდება, მწყობრში დგებიან ახალი ქარხნები და ფაბრიკები, მრეწველობას ყოველთვიურად მრავალი ათასი ახალგაზრდა მუშა ემატება. საწარმოში ამ ახალმოსულ მუშათა უზარმაზარი გამაწრთობი, მათთვის პროფესიის შერჩევა, მათ მიერ კვალიფიკაციის დაუფლება, სახანაოელთა რიგების სისტემატური ზრდა, იმის მიღწევა, რომ თვითეული მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს გამომუშავების ყოველდღიურ ნორმას, საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ფრიად პასუხისმგებელ და სპპატიო ამოცანაა.

იმ საწარმოებში, სადაც სათანადო სიმაღლეზე დგას კადრების აღზრდის საქმე, სისტემატურად იზრდება შრომის ნაყოფიერება, გადაშენდა სრულდება საწარმოო გეგმები. თბილისის ჯაპონურ-საფეიქრო ქარხანაში გასულ წელთან შედარებით თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება წელს 25.8 პროცენტით გაიზარდა, ქარხანა „დაზვაში“ შრომის ნაყოფიერების ზრდამ 17 პროცენტით გადააჭარბა გეგმით ნავარაუდევს. მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას უხარისხად ხელმძღვანელობენ 26 კომპორის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, სადაც მრავალი ათეული მუშა მეცადინეობს ტექნიკუმში შეძენილ პირველ და მეორე საფეხურის ცოდნის ამაღლებისათვის. ახალგაზრდა სტახანოველები ათვისებენ ფაბრიკის ხელმძღვანელები. ახალგაზრდა მუშებს პროფესიების ათვისებაში დიდ დახმარებას უწევენ კვალიფიკაციური სტახანოველები და ოსტატები. ამასთანავე ტექნიკუმში შემსწავლელი წრეები, კვალიფიკაციის ამაღლების ლექციები კურსები, შრომის მაღალი საყოფიერებისა და სტახანოველთა გამოცდილების გადაცემი სკოლები წელს იქ ასრთნი მუშაც დაამთავრა.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი მძლავრი წყაროა აგრეთვე რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელება, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება. რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით წელს ჩვენი რესპუბლიკის მრავალი საწარმოში შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას მიაღწიეს. სტალინის სახელობის თბილისის ორიქმაგალავაგონმარაბონების ქარხნის სალესავლო საამქროში განხორციელეს სტახანოველ ზეინკლის ვ. ბეგენაშვილის რაციონალიზატორის წინადადება „სი-10“ სერიის ელმავლიდან ჯგუფური კონტაქტორის აგრეგატულად მოხსნის შესახებ და ამ მიზნით დამზადეს შესაფერისი მოწყობილობა. ახლა ჯგუფური კონტაქტორის დემონტაჟი ხდება აგრეგატული სისტემით. ამან ექსპლუატ შეამცირა დემონტაჟის შესასრულებლად საჭირო დრო. აღნიშნულმა და სხვა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა საამქროში დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, უზრუნველყო წლიური სამუშაოთა გეგმის ათ თვეში შესრულება.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, სადაც ნაკლები ყურადღება ეძლევა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას, რაციონალიზაციასა და გამომგონებლობას. ასეთ საწარმოებს ამის შედეგი ის აქვს, რომ ასეთ საწარმოებში მუშათა საგრძნობი რაოდენობა გამომუშავების ღიღი ნორმებს ვერ ასრულებს, გამომუშავებული პროდუქციის ნაწილი დაბალხარისხოვანია, აქვთ ნელწელობა და დამხმარე მასალების გადახარჯვა, ვერ პასრულებენ გეგმებს. გასულ წელთან შედარებით ქვანახშირის მრეწველობამ ჩამორჩენით დაამთავრა მესაბე კვარტალი. ჩამორჩენენ აგრეთვე თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკა, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა და სხვა საწარმოები. ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შრომის მოწყვლისრიგების, არსებული მექანიზაციის არაა სრული სიძლიერით გამოყენებაა და თვითეული მუშის მიერ გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობაში უნდა ეძიებით.

ჩვენი მრეწველობის მუშაკებმა სამეურნეო წლის დასაწყისში პირობა მისცეს სამშობლოს, ხალხთა ბელადს დიდ სტალინს, რომ ენერგიის დიუზოგად ათრძოლებენ ახალი ხუთწლეულის პირობით ადრეულ წლის საწარმოო გეგმების დაღაშვე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ პირობა სასახელოდ დასრულდა. ენერგეთაბაბრდეთ მოწინავეებმა, ყველა საწარმოში ლიმიტირების პრემიორ-ისტების კაბინეტის თავმჯდომარის კომ ირ-სულნისაგან, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პანდურ ჯავაჰარლალ ნერუსაგან, მაგრამ ჩორაბლანისაგან, ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ენვერ ხოჯისაგან და სხვა მეცნიერთა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების

პარტიული ცხოვრება

როცა პარჭიული ორგანიზაცია ზრუნავს ზეგეგმითი დაგროვებისათვის

სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ჰიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი შეუფიქრებელ ვერ მუშაობდა. დანაკლისით სრულდებოდა მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმები, დაპალი იყო შრომის ნაყოფიერებისათვის, პროდუქციის თვითღირებულებაც, შემცირების ნაცვლად, იზრდებოდა.

ყოველივე ეს არ შეიძლებოდა მაღაროს პარტიულ ორგანიზაციას არ შეემჩნია, ამ საკითხებზე არ ემსჯელნა და სათანადო ღონისძიებანი არ დაესახა. პარტიული ორგანიზაცია იხილავდა მექანიზმების გამოყენების, წარმოების რაციონალიზაციისა და მუშაობის, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და საერთოდ წარმოების რენტაბელობის საკითხებს. მაღაროელი კომუნისტები სერიოზულად ეკიდებოდნენ საქმეს, სწორ და ღრმა ანალიზს უყეთებდნენ არსებულ დეგრამოებს, საქმიანი წინადადებანი შეაქვთ. პარტიული ორგანიზაცია კონკრეტულ, შინაარსიან დაგეგმილებას ღებულობ. მათი შესრულებისადმი სისტემატურ კონტროლს აწესებდა პარტბიურო.

გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა შეკდებრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელურად მუშაობისათვის. აქეთკენ წარიმართა ყველა ღონისძიება, ამოქმედდა საგაბტაციო-პრომაგანდისტული მუშაობის მთელი არსენალი. ეკონომისტმა ნ. კახაბაძემ "მუშებში ჩაატარა საუბარი თემაზე: "როგორი უნდა იყოს თვითღირებულების ელემენტების ფაქტიური ხარჯები ტონა მარგანეცზე". ინჟინერი გ. გაფრინდაშვილი მუშებს ესაუბრა, თუ როგორია სოციალისტური დაგროვების წყაროები. პროდუქცია კრება მიეძღვნა საკითხს — "პროდუქციის თვითღირებულება და შრომის ნაყოფიერება წარმოების ძირითადი მარჭვენებელია". მაღაროს მთავარმა ინჟინერმა ჩაატარა საუბარი თემაზე: "მომჭირნეობისა და ყაირანთნობისათვის ბრძოლა ყოველი საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა" და სხვ. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის საკითხებს ყოველთვის ტექნიკურად აშუქებენ თავიანთ საუბრებში აგიტატორები გ. გაფრინდაშვილი, ფ. აბრამიშვილი, ი. მაჭავარიანი, გ. იაკობიძე, ა. კაკოშვილი, ა. ღუღუნიშვილი, ბ. ასმახარაძე, ა. წერეთელი.

გამაუჯობესდა ფაბრიკაში დიდი იყო მარგანეცის დანაკარგი. ეს აძცირებდა პროდუქციის გამოშეებას, ზრდიდა თვითღირებულებას. ინჟინერმა გ. გაფრინდაშვილმა მარგანეცის გამაუხეებელ დანადგარებს სარეცხი ცხრილები გამოუცვალა. ამ ღონისძიების მარტო სექტემბერში 418 ტონით შემცირდა მადნის დანაკარგი. ამავე ფაბრიკაში დაბალი იყო პროდუქციის ხარისხი და მადნიდან ლითონის ამოკრეფა. ამ საკითხზე პარტიულმა კრებამ დაწერილებით იმსჯელა. კრებისათვის საკითხი მოამზადეს მექანიკოსმა გრ. გაფრინდაშვილმა და ინჟინერმა გ. ნოსეიძემ. მაღაროელმა კომუნისტებმა საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს. მილებულ ღონისძიებათა შედეგად ფაბრიკაში მდგომარეობა გამოსწორდა, ამაღლდა ხარისხი, გაიზარდა დაგროვება.

მაღაროს საკუთარი სახლისწო აქვს. ისიც მომჭირნეობით არ მუშაობდა. ორ თვეში 183 კილოგრამი ქვანახშირი და ორ ტონამდე რკინა გადახარჯეს. ამ საკითხს აგიტატორმა გ. იაკობიძემ სპეციალური საუბარი მიუძღვნა. მან მჭიდროდ და ზეინლებს კონკრეტული მაგალითებით მოუთხრო, თუ რა ზიანს აყენებს წარმოებას და საშრომლის ლითონის ან ქვანახშირის გადახარჯვა. ამ საკითხზე პარტიულმა კრებამაც იმსჯელა, და რა მოჰყვა ამას? მარტო სექტემბერში სახელისწო 108 კილოგრამი ქვანახშირი დაზოგა.

მაღაროში რენტაბელობისათვის და ზეგეგმითი დაგროვებისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა, როცა მოსკოვის 35 საწარმოს კოლექტივმა საუცხოო თაოსნობა გამოიჩინა. ი. ბ. სტალინისათვის მოსკოველთა მიერ გაგზავნილი წერილი მაღაროელებმა ჯერ საერთო კრებაზე განიხილეს, ხოლო შემდეგ ეს საკითხი პარტიული კრების სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. კრებამ დასახა ღონისძიებანი, რომელთაგან ბევრი რამ ვეგეგმის განხორციელდა.

როგორია შედეგები? მაღაროს კოლექტივმა მარტო სექტემბერში 137.200 ბანეთი ზეგეგმით დაგროვება მოგეცა. ოქტომბრის პირველ დეკადაში მაღაროს დაჰფარა ცხრა თვის დანაკლისი და ახლა მარგანეცს გეგეგმის გადამეტებით იძლევა. განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობენ ის უბნები, რომლებსაც კომუნისტები ბ. სამხარაძე, ა. კაკოშვილი, ა. ღუღუნიშვილი, კ. სეხნიკვარაძე, ი. ფალავანდიშვილი ხელმძღვანელობენ. მათ 3-4 მანეთით შეამცირეს ყოველი ტონა მარგანეცის თვითღირებულება.

ჰიათურელებმა სიტყვა მისცეს დიდ ტკალნს — წელს გეგმის გადამეტებით დაავროვონ 3 მილიონი მანეთი. ამაში ღიმერკოვის სახელობის მაღაროს გარკვეული წილი უდევს. მაღაროელი კომუნისტები, მთელი კოლექტივი თავდადებით მუშაობენ ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისათვის.

ჯ. ჭიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

წიგნები კოლმეურნეობებს

დღეიდღე მატულობს კოლმეურნეთა მოთხოვნილება წიგნებზე. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამ დღეებში „საქწიგნმა" ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებში გაგზავნა 45 ათასი მანეთის წიგნები, გაგებულია რაის რაიონში—46 ათასი მანეთისა და ყვარლის რაიონში—75 ათასი მანეთისა. წლის ბოლოსათვის ამ რაიონების ყველა კოლმეურნეობას ექნება საკუთარი ბიბლიოთეკა.

საბჭოთა მსახიობები რუმინეთსა და პოლონეთს გაემგზავრნენ

მოსკოვიდან ბუქარესტს საგასტროლოდ გაემგზავრა საბჭოთა მსახიობების დიდი ჯგუფი. მათ შორის არიან საკარისკაცო სს რესპუბლიკის ცეკას სახელმწიფო ანსამბლი რუსეთის სახალხო არტისტის ი. სუხიშვილისა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, ოპერეტის სოლისტი სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. ლისიციანი, ფილარმონიის სოლისტი გ. ბარინოვი, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ბალეტის მსახიობები ნ. ზეიაგინა და ა. ქიზმერი, შემპრუნებელ მუსიკოსთა საკვმირო კონკურსის ლაურეატი ტ. კრავჩენკო და სხვ.

პოლონეთის ქალაქებში სპექტაკლებით გაემგზავრნენ დიდი თეატრის ბალეტის მსახიობები ე. ჩიკვაიძე და ა. ქაზნაცეევი, ვიოლონჩელისტი ტ. შაფრანი, პიანისტი ვ. ბეტროვსკაია, ჯოკალისტები ი. შმელევი, ლ. მელნიკოვა. (საცდენი).

საეი ვირაქი

წლის ბოლოდე ჩატარდება სახელმწიფო სესხების მოგებათა სამი ტირაჟი. 27 ნოემბერს ოდესაში შესდგება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მეორე ტირაჟი, 30 ნოემბერს მოსკოვში — სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის მეექვსე ტირაჟი, 15 დეკემბერს ლენინგრადში — 1948 წლის სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის მეორე ტირაჟი.

ხელის მომწერელებს, რომლებსაც ამჟამად არ მიეღიათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, მათი მიღება შეეძლებათ ტირაჟი.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მოსკოვში იწყება ჭადრაკში სსრ კავშირის მეოძეჭმეტე პირველობის ფინალი. საფინალო ტურნირის ფლობა შეჩრდეთ შეკდებრებში, რომლებიც ჩატარდა მოსკოვში, ლენინგრადსა და სვერდლოვსკში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საკმვირო კომიტეტმა დაამტკიცა ფინალის მონაწილეთა შემდეგი შემადგენლობა: სსრ კავშირის ჩემპიონი გროსმაისტრები ვ. კორჩნი (ტალინი), სსრ კავშირის გროსმაისტრები — ი. ბონდარევსკი (ლენინგრადი), ფ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ა. კოტოვი (მოსკოვი), გ. ლეონჰარდი (ლენინგრადი), ა. რაფაზოლი (მოსკოვი) და ს. ფლორი (მოსკოვი), სპორტის ოსტატები — ი. ავერბახი (მოსკოვი), გ. ლეონტიევი (მოსკოვი), ლ. პრონინი (მოსკოვის ოლქი), ბ. ლელევიჩ (სვერდლოვსკი), ა. კოშლაკოვ-ნოვოსელი (მოსკოვი), გ. ლისიცინი (ლენინგრადი), ვ. პანოვი (მოსკოვი), მ. ტოლიში (ლენინგრადი), ა. ტოლუში (ლენინგრადი), ს. ფურმანი (ლენინგრადი) და რ. ხოლმოვი (ლენინგრადი).

სხვადასხვა მიზეზების გამო ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მსოფლიოს ჩემპიონი სსრ კავშირის გროსმაისტრი მ. ბოტვინიკი, სსრ კავშირის გროსმაისტრები ვ. სმისლოვი და ი. ბოლესლავსკი.

ტურნირის მთავარ მსაჯად მიწვეულია სპორტის დამსახურებული ოსტ ტი ი. ზუბარევი.

(საცდენი).

კიდევ უფრო გავაჩაღოთ კოოპერაციული ვაჭრობა

ორი წლის წინათ, 1946 წლის 9 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ქალაქებში და დაბებში სურსათით და სამრეწველო საქონლით კოოპერაციული ვაჭრობის გაჩაღების და კოოპერაციული საწარმოების მიერ სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ".

ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოთა ვაჭრობას მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლების საქმეში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება კოოპერაციული ვაჭრობის გაჩაღების შესახებ მკაფიოდ გამოხატავს სტალინურ ზრუნვას ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის სურსათითა და სამრეწველო საქონლით მომარაგების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის გაწყვეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა და აერთიანებს 36 მილიონზე მეტ მეპაიეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე კოოპერაციული ვაჭრობის გაჩაღების საქმეში ეკუკავშირმა გაწეული ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ გააჩაღა ნამეტი საქონელ-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა და შემდეგ, რაც კოლმეურნეობებმა და კოლექტიურებებმა შეასრულეს თავიანთი სახელმწიფოებრივი ვალდებულებანი. ამ მუშაობის მასშტაბს მოწმობს შემდეგი ციფრები: 1947 წლის იანვრიდან 1948 წლის ოქტომბრამდე კოოპერაციამ შეისყიდა 27.760 ტონა სხვადასხვა პროდუქტი, მათ შორის: 2.153 ტონა ხორცი, 3.833 ტონა კარტოფილი, 3.270 ტონა ბოსტნეული, 5.116 ტონა ხილი, 3.584 ტონა ბოიჩეული, 665 ტონა ყველი, 241 ტონა ერბო-კარაქი და საქმელი ზეთი, 4.419 ტონა მარცვლეული და სხვ. ეს პროდუქტები ქალაქის მოსახლეობის მომარაგების დამატებით წყარო გახდა.

სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პროდუქტები შეიხიდოს და გაყიდოს უშუალეს ყოველისა თბილისში, ქუთაისში, ხაშურში, ბათუმში, ტყიბულში, ტყვარჩელში, რუსთავსა და რუსთაველის სხვა სამრეწველო ცენტრებში. სოფლად შესყიდული მთელი პროდუქტებიდან კოოპერაციამ თბილისის მოსახლეობას მიაწოდა 16.000-ზე მეტი ტონა. მიუხედავად ამისა არ შეიძლება ითქვას, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ მთელი შესაძლებლობა გამოიყენა პროდუქტების შესყიდვის მაქსიმალური გაზრდისა და თბილისსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში მათი შეხიდვისათვის. მაშინ როცა მარნეულის, წალკის, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, გალის, გეგეკორის, სილნაღის, გორის, ბოლნისის, გურჯაანის რაიკოოპერაციებმა სისტემატურად გადაჭარბებით სრულებენ თავიანთ ვალდებულებას პროდუქტების შესყიდვისა და ქალაქებში შეხიდვის მხრივ, ცალკეული რაიკოოპერაციები — ქასპისა (თავმჯდომარე ამხ. გ. იობერი), კაჭრეთისა (ამხ. ზ. ფეიქრიშვილი), ასპინძისა (ამხ. ლ. ოოსელიანი), გარდაბნისა (ამხ. ი. ლეკიშვილი), ახალციხის სამომხმარებლო კოოპერაციის სათავეში მდგომი ამხ. ნ. ბერიძე და სხვები ისე ნაყოფიერად არ მუშაობენ, როგორც შეუძლიათ და ვალდებულნი არიან. ეს ნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ბევრი ადგილია ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას. ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების საქმეში ბევრს აკეთებს ასევე ბორჯომის სამომხმარებლო კოოპერაციაც, რომელიც ამ საქმეში ბევრ ინიციატივას იჩენს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია მას ამ მხრივ.

ახალ პირობებში ორი წლის მუშაობამ ცხადყო, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელმაც სახელმწიფოსაგან მიიღო დიდი ღაბმარება, დიდი საგაბასახდო და სხვა შეღავათები, ყველა შესაძლებლობა აქვს თავისი შესაფერი ადგილი დაიკავოს საბჭოთა ვაჭრობის სისტემაში, იმუშაოს უფრო კარგად, ვიდრე ამჟამად მუშაობს. ამისათვის რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XI ყრილობაზე გამოკვეყანებული ნაკლოვანებანი. საჭიროა კოოპერაციამ მოლიანად აღმოფხვრას საქონლის განაწილების მეთოდები, გამოიჩინოს მეტი ინიციატივა და ენერგია ქალაქის მოსახლეობის მომარაგების დამატებითი წყაროების გამონახვაში, გააფუძნოს სრული პროდუქციის ბალისი, მიიღოს ფასების შემდგომ შემცირებას, უფრო მტკიცედ დაიცვას კოოპერაციული ქონება, დღითი დღე შეიძლებელია მოითხოვოს ხარისხი, შეიმუშაოს ახალი ფასების სისტემა, ეფექტიანად გამოიყენოს სავაჭრო ფართობები, ფართოდ დანერგოს ვაჭრობის ახალი ფორმები, ფრთხილად მოეპყრას ფულის ბრუნვას, ფრთხილად მოეპყრას ფულის ბრუნვას, ფრთხილად მოეპყრას ფულის ბრუნვას

საბჭოთა მშენებლობა

უკეთესად მოვამზადოთ ქალაქის მეურნეობა ზამთრისათვის

სწრაფად იზრდება სამხრეთ ოსეთის — ავტონომიური ოლქის დედაქალაქი — ცხინვალი. ძველი ქოხებიანის ნაცვლად ქალაქში აშენდა ახალი უამრავი სახლები. ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლების ფართობმა 100 ათას კვადრატულ მეტრს მიაღწია. ფართოდ გაჩაღებულია ინდივიდუალური სამოსახლო მშენებლობაც. გამოიყვანა საწარმოთა და დაწესებულებათა შენობები. ქალაქში მოლიანად ელექტროფიცირებულია. ომის წინან — 1940 წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა წყალსადენის ქსელი.

ზამთრისათვის მოსამზადებლად ქალაქის მთელმა რიგმა საწარმოებმა და დაწესებულებებმა დროულად დაამაღლეს მზადება. ამ მხრივ გამოირჩევიან ქალაქის სახელობის ბუტყის კომბინატი, ავტოს ქარხანა, სამშენებლო კომბინატი. ზამთრისათვის კარგად არის მომზადებული ქალაქის ყველა სკოლის შენობა, განსაკუთრებით მეორე, მესამე, მეოთხე საშუალო სკოლების შენობები. მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების რემონტი.

ზამთრისათვის მზადებაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის, სამობილიზაციოდ არადამაკმაყოფილებლად მეშაობს ქალაქის ჯგუფთრიალა ბინადრებლად. ამ განყოფილების სისტემაში შემავალ დაწესებულებებს ესაჭიროებათ 620 კუბური მეტრი შეშა, 1 ნოემბრისათვის კი იდგიდა მხოლოდ 65 კუბური მეტრი. შეშით მომარაგების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე ქალაქის კულტურულ-საყენაბებლო დაწესებულებათა ქსელში. ქალაქის ბიბლიოთეკა და კლუბი დღემდე უზამთრებელყოფილი არ არიან სათანადოთ მასალით, ბევრგან ფანჯრებში მინები ჩასმულები. სერიოზულ ნაკლოვანებათ ითვლება 20 კომენდანტის სახლი, ქ. სტალინირის სახელობისათვის მოშარავებული სათბობი, რაც საქირო რაოდენობის მხოლოდ ნახევარს წარმოდგენს.

ზამთრისათვის ყოველმხრივ მოამზადებული არ არის ქალაქის ელექტროფიცირება. კუხვახეს არა აქვს საკმაო სათბობი, ტრანსფორმატორებისათვის შეძენილი არ არის ზეთი.

სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ ზამთრისათვის მზადებაში საავარო ორგანიზაციებს. № 1 და მეორე მაღაზიების, № 2 სასადილოს, სომხეთის ბუჭაზე მდებარე № 18 პურის ფურცის შენობათა სახურავები დაზიანებულია და დაუყოვნებლივ რემონტს მოითხოვს. მოუმზადებელია აგრეთვე საბრძო ოსეთის სააღრიცხვო-საბრძოლო კოორდინაციის ცენტრალური საწყობი.

ზამთრისათვის მზადებაში ქალაქის მეურნეობის ამ ნაკლოვანებებზე ყურადღება გაამახვილა სტალინირის საქალაქო საბჭოს სესიამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა. სესიამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელება ქალაქის ხელმძღვანელობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ვლ. გელაშვილი

«კომუნისტის» საკავშირო კორესპონდენტი

საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

(სტატისტიკური ცნობა)

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტებით
ქეთათისის	100,0
ყულტების	100,0
სამტრედიის	38,3
წულეკიძის	58,8
ვანის	3,5
ტაიაოფსკის	105,0
ზესტაფონის	75,0
ჩხარის	111,0
ჭიათურის	95,1
საჩხერის	103,1
ორჯონიკიძის	100,0
ონის	101,0
ამბროლაურის	102,7
ცაგერის	100,0
ქუქის სვანეთის	109,3
ლენტეხორის	151,6
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის	89,6
ახალქალაქის	115,2
ახალციხის	100,4
ადიგენის	75,2
ასპინძის	112,6
ხაშურის	100,0
ქარელის	96,5
გორის	93,3
კასპის	84,5
ბორჯომის	116,2
დუშეთის	100,2
თეთრი წყაროს	97,3
თიანეთის	114,3
გურჯაანის	84,6
კახეთის	101,8
სიღნაღის	102,7
წნორეწყაროს	109,8
თელავის	103,9
ახმეტის	101,3
ყვარლის	82,9
ლაგოდეხის	100,5
თბილისის	107,8
მცხეთის	100,1
გარდაბნის	87,6
მარნეულის	77,4
ბოლნისის	75,1
საგარეჯოს	90,4
დმანისის	102,7
სულ საქართველოს სსრ	95,9

მზრალად ხვნა

საქართველოს კოლმეურნეობებში ნოემბრის მეორე ხუთდღიურში მზრალად მოხნეს 3.042 ჰექტარი. სულ 10 ნოემბრისათვის მოხნეულია 111.362 ჰექტარი, რასაც შეადგენს გეგმის შესრულებულია 74,2 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მზრალად ხვნის გეგმა 73,5 პროცენტით არის შესრულებული, ბოგდოსოვის რაიონში — 109,2 პროცენტით, წოთელწყაროს — 106,5, თელავის 101,3, ყვარლის — 101,1, გურჯაანის 97,7, ახალქალაქის — 97,8, ხაშურის— 86,4, წალკის — 88,8, ასპინძის — 81,9, მარნეულის — 76,4, გარდაბნის — 72,7, ახმეტის — 71,4, სიღნაღის — 61,4, კახეთის — 66,6, ბორჯომის — 71,5, ქარელის — 67,7, ახალციხის 72,3, კასპის — 38,1, თიანეთის — 57,3, მცხეთის— 23,8, ბოლნისის — 26, საგარეჯოს — 32,1, გორის — 52,6, დმანისის რაიონში — 41,9 პროცენტით.

საბჭოთა დელეგაციის მორალური გამარჯვება

ინგლის - ამერიკის ბლოკის ღონისძიებათა სანინააღმდეგოდ, პოლიტიკურმა კომენტატორმა ხმა აღიმაღლა საბერძნეთის მონარქიზმ-ფაშიზმის მხსნელთა დასასჯელად

პარიზი, 6 ნოემბერი. (საკუთარი ს/კ კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის მთელი ორი დღე დელეგაციების სახელზე მოვიდა ბერძენი მეზღვაურების კავშირის დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბერძენმა მონარქისტ-ფაშისტებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ამ პროფკავშირის 10 მოღვაწეს და რომ განაჩენი სისრულეში ნებისმიერ დროს მოყვანილი იქნება. მეზღვაურთა კავშირი მოეწერდებოდა ასამბლეის დელეგატებს — აღიძრაოთ ხმა ბერძენი მონარქისტ-ფაშისტების ეულანძული მსხვერპლის დასაცავად. მოელნებოდნა და ითხოვდა, რომ ხელი მოეწერათ კომიტეტებისათვის შეესრულებინა თავისი ვალდებულება მოეწერა. მეკენილი (ინგლისი) გამსაკუთრებით თავგამოდებულად ხმობდა პოლონეთისა და უკრაინელი წარმომადგენლების მიერ. ბოლოს ეს დეპეშა მოითხოვდა, რომ კომიტეტს გადაეგზავნა დელეგაციის რეზოლუციაც, რომელიც ითხოვდა ბერძენ მსჯავრდებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

მაგრამ ამ ხმაურობის დროს ბრიტანელმა დელეგატმა ბ. ვილკინსონმა ხმა აიმაღლა და ამ ხმაურობას ბოლო მოუღო. ბ. ვილკინსონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის დელეგაციას ეს ამბავი ცნობილი იყო, მაგრამ ის ფიქრობდა, რომ ეს საკითხი ისეთ ატმოსფეროში არ უნდა განხილულიყო, რომელიც ახლა სუფევდა კომიტეტში. ბ. ვილკინსონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ბერძნეთში ტერორი ბატონობს და ამიტომ ბრიტანეთის დელეგაციას ეჭვი ეპარება, რომ ბერძნეთის ხელისუფლებას ნამდვილად შეეძლო ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა.

უცხოეთის პრესის ჯავრობმაურება მოსკოვის საბჭოს 1948 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. (საგანგ.). ამერიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსი. გაზეთები სათავეებში გამოაყოფენ ვ. მ. მოლოტოვის მიერ საგარეო პოლიტიკის თვეებზე გამოთქმულ აზრებს. გაზეთები, კერძოდ, ალენშვაენ მოლოტოვის სიტყვებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებში დიდის პარტიის მარცხი მოწმობს იმას, რომ ამერიკელი ხალხის უმრავლესობა უარყოფს დიდის ამპარა რეაქციულ ღონისძიებებს.

ინგლისი

ლონდონი, 7 ნოემბერი. (საგანგ.). ინგლისური გაზეთების უმრავლესობა პირველ გვერდზე აქვეყნებს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავის გამო, მაგრამ მეტად შემოკლებულად.

გაზეთების უმრავლესობა გამოსყოფს ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია ომის გამოსაცნობებზე, ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობის მიღწევის სურვილზე და მთელ მოდელობაზე ამერიკის ბაზებზე.

პოლონეთი

ვარშავა, 7 ნოემბერი. (საგანგ.). პოლონური პრესა აქვეყნებს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების ვრცელ ამონაწერებს და სათარებში ხაზგასმით ლენინზმზე სწორ ანალიზის მნიშვნელობის